ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2017 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება Elda Otero Ramos v Servicio Galego de Saúde and Instituto Nacional de la Seguridad Social (Case C-531/15) ECLI:EU:C:2017:789

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) განმარტა, რომ დამსაქმებული ვალდებულია **ორსული და მეძუძური დასაქმებულის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნებისმიერი რისკი, რომელიც დაკავშირებული სამუშაო პირობებთან, შეაფასოს ინდივიდუალურად და კონკრეტულად**. მხოლოდ ზოგად, წინასწარგანსაზღვრულ „უსაფრთხო“ პოზიციების ჩამონათვალზე დაყრდნობა **არ არის საკმარისი.** დამსაქმებლის მიერ ინდივიდუალური შეფასების არქონა ან არასათანადო ჩატარება შეიძლება ჩაითვალოს **სქესის ნიშნით დისკრიმინაციად,** რომელიც არათუ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს და არღვევს თანასწორობის პრინციპს, არამედ ასევე **საფრთხეს უქმნის ორსულის, მეძუძური ქალისა და მისი შვილის ჯანმრთელობას.**

“45 […] უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივის 92/85/EEC მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი დამსაქმებელს ავალდებულებს, რომ მან, პირდაპირ ან დამცავი და პრევენციული სერვისების მეშვეობით, შეაფასოს **მუშაკებზე,** ამ დირექტივის მე-2 მუხლის მნიშვნელობით, იმ აგენტების, პროცესების ან სამუშაო **პირობების ზემოქმედების ხასიათი, ხარისხი და ხანგრძლივობა,** რომელთა არასრული სია მოცემულია I დანართში, ყველა იმ საქმიანობისთვის, რომელიც ამასთან დაკავშირებით შესაძლოა ზემოქმედების კონკრეტულ რისკს შეიცავდეს. შეფასება ტარდება იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს შესაბამისი **მუშაკის ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების ნებისმიერი რისკის** და მის ორსულობაზე ან **ძუძუთი კვებაზე ნებისმიერი შესაძლო ზემოქმედების შეფასება,** ასევე გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქნას გატარებული.“

[…]

„51 […] მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მეძუძური მუშაკის სამუშაოს რისკის შეფასება უნდა მოიცავდეს კონკრეტულ შეფასებას, რომელიც **ითვალისწინებს შესაბამისი მუშაკის ინდივიდუალურ მდგომარეობას**, რათა დადგინდეს, არის თუ არა მისი ან მისი შვილის ჯანმრთელობა ან უსაფრთხოება რისკის ქვეშ.“

[…]

„57 როგორც სასამართლომ უკვე დაადგინა, მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის მარეგულირებელი ევროკავშირის სამართლის ნორმების მიზანია ორსული და ახალნამშობიარები

ქალების და მეძუძური დედების **უფლებების დაცვა მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ.**“ (იხ., ამ მიზნით 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება, დანოზას საქმე, C-232/09, EU:C:2010:674, ციტირებულია 68-ე პუნქტი და დადგენილება.)

[…]

„62 […] იმ შემთხვევაში, თუ მეძუძური მუშაკის სამუშაოსთან დაკავშირებული რისკები არ არის შეფასებული დირექტივის 92/85 მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების მიხედვით, შესაბამისი მუშაკი და მისი შვილი მოკლებული არიან იმ დაცვას, რომელიც მათ ამ დირექტივის თანახმად უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან ისინი, სავარაუდოდ, იმ შესაძლო რისკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან, რომელთა არსებობა არ იქნა სწორად დადგენილი შესაბამისი მუშაკის სამუშაოს რისკის შეფასების პროცესში. ამ მხრივ, მეძუძური მუშაკის მიმართ მოპყრობა შეიძლება არ იყოს იმავე სახის, როგორიც ნებისმიერი სხვა მუშაკის, ვინაიდან მისი **კონკრეტული მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს დამსაქმებლის მხრიდან განსაკუთრებულ მოპყრობას.**

63 […] დირექტივის 92/85 მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მეძუძური მუშაკის სამუშაოსთან დაკავშირებული რისკის შეუფასებლობა **განხილულ უნდა იქნეს, როგორც ქალის მიმართ ნაკლებად ხელსაყრელ მოპყრობად,** […] შესაბამისად, **წარმოადგენს სქესის ნიშნით დისკრიმინაციას** დირექტივის 2006/54 მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „c“ ქვეპუნქტის მიხედვით.

64 […] დირექტივის 92/85 მე-5 მუხლიდან გამომდინარე, ამავე დირექტივის მე-4 მუხლში მითითებული შეფასების შემდეგ, ამ მუშაკის ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების რისკის ან ძუძუთი კვებაზე ზემოქმედების დადგენა გამოიწვევს **მისი სამუშაო პირობების ან/და სამუშაო საათების კორექტირებას, მის სხვა სამუშაოზე გადაყვანას ან სამუშაოსგან გათავისუფლებას მისი უსაფრთხოების ან ჯანმრთელობის დაცვისთვის საჭირო მთელი პერიოდის განმავლობაში.**“

[…]

„76 […] სამართალწარმოებისას შესაბამისი მუშაკის მოვალეობაა, წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს, რომ მისი სამუშაოს რისკის შეფასება არ ჩატარებულა დირექტივის 92/85 მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად და საიდანაც შესაძლებელი იქნება ვივარაუდოთ, რომ ადგილი ჰქონდა სქესის ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციას დირექტივის 2006/54 მიხედვით, რაც უნდა დაადგინოს სასამართლომ. ამის შემდეგ უკვე **მოპასუხემ უნდა** დაამტკიცოს, რომ რისკის შეფასება ჩატარდა ამ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად და რომ აქედან გამომდინარე, ადგილი არ ჰქონია დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დარღვევას.“

მოკლე მიმოხილვა:

დირექტივის 92/85/EEC მიხედვით, ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალები მრავალი თვალსაზრისით უნდა ჩაითვალოს სპეციფიკურ რისკ-ჯგუფად, რომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დამსაქმებელმა უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. ამავე დირექტივის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, მუშაკის პირადი მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩაატაროს ინდივიდუალური რისკის შეფასება. მხოლოდ ზოგადი შეფასება არ არის საკმარისი. ინდივიდუალური რისკების შეუფასებლობა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სქესის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის საფუძველი. თუკი მუშაკი წარადგენს მტკიცებულებებს, რომ დებულების მოთხოვნები დარღვეულია, დამსაქმებელი

ვალდებულია დაამტკიცოს, რომ რისკის შეფასება დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდა და რომ თანასწორობის პრინციპი არ დარღვეულა.

ევროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXX
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	საბჭოს 1992 წლის 19 ოქტომბრის 92/85/EEC დირექტივა – ფეხმძიმე მუშაკების და იმ მუშაკების, რომლებსაც ახლახან შეეძინათ შვილი ან არიან მეძუძური დედები, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშემწყობი ზომების დანერგვის შესახებ
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 92/85/EEC მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი *(სარეგისტრაციო კოდი: 270000000.04.001.017910; 31/05/2023 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**ინდივიდუალური რისკის შეფასება**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	2017 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება Elda Otero Ramos v Servicio Galego de Saúde and Instituto Nacional de la Seguridad Social (Case C-531/15) ECLI:EU:C:2017:789

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.